

ავეჯის  
(CPV კოდი: 22400000-22458000)  
ელექტრონული ტენდერის საშუალებით სახელმწიფო შესყიდვის შესახებ  
სატენდერო კომისიის სხდომის

ოქმი №1

**სხდომას ესწრებოდენ:**

- 1) თეა ნიკოლაშვილი -სატენდერო კომისიის თავჯდომარე/დირექტორი;
- 2) რამაზ მინდიაშვილი - კომისიის წევრი/მთავარი ბუღალტერი;
- 3) დავით ძიმიშვილი-კომისიის წევრი/ინსტიტუციური განვითარების სამმართველოს უფროსი
- 4) ნათია იორდანიშვილი-კომისიის წევრი/ინსტიტუციური განვითარების სამმართველოს უფროსი

**კომისიის აპარატის წევრი:**

- 1) მიხეილ თოფურია - ლოგისტიკისა და შესყიდვების მენეჯერი.

**დღის წესრიგი:**

სსიპ თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლის საჭიროებისათვის შეკვეთით ნაბეჭდი მასალის შესყიდვის შესახებ სატენდერო დოკუმენტაციის დამტკიცება და სავარაუდო ღირებულების განსაზღვრა.

**მოისმინეს:**

სატენდერო კომისიის აპარატის წევრის მიხეილ თოფურიას ინფორმაცია, რომ სატენდერო კომისიის აპარატმა მოამზადა სსიპ თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლის საჭიროებისათვის შეკვეთით ნაბეჭდი მასალის შესყიდვის შესახებ სატენდერო დოკუმენტაციის პროექტი, რომელიც გადაეცა სატენდერო კომისიის წევრებს.

**კომისიამ დაადგინა:**


1. „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12<sup>1</sup> მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად დამტკიცდეს წარმოდგენილი სატენდერო დოკუმენტაცია.
2. დამტკიცდეს ელექტრონული ტენდერის (NAT) სისტემაში ელექტრონულად შევსებული სატენდერო პირობების პროექტი და სატენდერო დოკუმენტაცია.
3. შესასყიდი შეკვეთით ნაბეჭდი მასალის რაოდენობა განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:

დასახელება	რაოდენობა (ცალი)
DVD დისკი ბრენდირებით	500
ბრენდირებული წიგნაკი	750
სავიზიტო ბარათი	600
სერტიფიკატი	900
საქალაქლდე CD ჩასადებით	400
საქალაქლდე ლოგოთი	300
სკოლის ანგარიშის საინფორმაციო ბუკლეტი	200

4. ხელშეკრულების ღირებულებად განისაზღვროს 6620.00 (ექვსი ათას ექვსას ოცი) ლარი, დ.ღ.გ.-ს ჩათვლით.
5. სატენდერო წინადადების ფასის კლების ბიჯად განისაზღვროს შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულების 2 %-ის ოდენობით.
6. დაევალოს სატენდერო კომისიის აპარატს „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12<sup>1</sup> მუხლის მე-2 პუნქტის და „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-6 მუხლის შესაბამისად უზრუნველყოს სატენდერო განცხადების და სატენდერო დოკუმენტაციის ქართულ ენაზე განთავსება სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში.
7. სატენდერო დოკუმენტაცია დანართის სახით დაერთოს სატენდერო კომისიის სხდომის ოქმს.

თეა ნიკოლაშვილი

კომისიის თავმჯდომარე




რამაზ მინდიაშვილი

კომისიის წევრი



ნათია იორდანიშვილი

კომისიის წევრი



დავით ძიძიშვილი

კომისიის წევრი



მიხეილ თოფურია

კომისიის აპარატის წევრი